

ედღვნება საქართველოს პირველი რესპუბლიკის  
მე-100 და აფხაზეთის ოკუპაციის 25-ე წლისთავს

# ოკუპირებული აფხაზეთი

# 25

# *OCCUPIED ABKHAZIA*

This is dedicated to the 100<sup>th</sup> anniversary of the  
First Republic of Georgia and 25<sup>th</sup> anniversary  
for the occupation of Abkhazia

გარეკანის პირველ გვერდზე: ბედიის ტაძრის ფრაგმენტი

გარეკანის ბოლო გვერდზე :

Front cover : Fragment of Bedia Temple

Back cover : St.George of Bedia Temple

[www.scara.gov.ge](http://www.scara.gov.ge)

# აფხაზეთი, საქართველო: ოკუპაციის 25 წელი

## ( სარედაქციო საბჭოსაგან )

25 წელიწადი... ზუსტად მეოთხედი საუკუნე შესრულდა ერთ-ერთი ყველაზე სისხლიანი ტრაგედიიდან, რომელიც აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში დატრიალდა და დღემდე გრძელდება. შესაბამის ლიტერატურაში იგი პოსტკომუნისტურ ვანდეად, ხან კიდევ მეორე ჰოლოკოსტად არის შერაცხული. კრემლში გამოზრდილ აფხაზურ სეპარატისტულ ძალებს ამოფარებულმა რუსეთის ფედერაციამ, გამოიყენა რა საბჭოთა კავშირის დაშლისა და სახელმწიფო გადატრიალების შედეგად საქართველოში შექმნილი რთული პოლიტიკური ვითარება, თბილისსა და სოხუმს შორის შეიარაღებული კონფლიქტის პროვოცირება მოახდინა. მისი ხასიათი და კატასტროფული შედეგები კონფლიქტში რუსული რეგულარული სამხედრო ქვედანაყოფების, სეპარატისტული და დაქირავებული ტერორისტულ-ბანდიტური რაზმების ერთობლივმა მონაწილეობამ განაპირობა.

დამოუკიდებლობის გზაზე შემდგარი ქართული სახელმწიფოს წინააღმდეგ აფხაზეთში 1992-1993 წლებში წარმოებული დაუნდობელი ომი ორივე მხრიდან 20 ათასამდე ადამიანის დაღუპვით, ქართული მოსახლეობის ეთნიკური წმენდით, გენოციდითა და საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის რღვევით დასრულდა. დაღუპულთა დიდ ნაწილს მშვიდობიანი ქართული მოსახლეობა შეადგენს, რომელთა შორის ძალიან ბევრია ბავშვი, ქალი, ავადმყოფი, ხანდაზმული, ექიმი, პედაგოგი, მეცნიერი, ხელოვანი და ა. შ. ოკუპანტები მათ წამებისა და ადამიანური ღირსების შელახვის ყველაზე ველური შუასაუკუნეობრივი მეთოდების გამოყენებით მიზანმიმართულად ანადგურებდნენ. 1992 წლის 1 იანვრისთვის აფხაზეთში სხვადასხვა ეროვნების 535 061 ადამიანი ცხოვრობდა, შეიარაღებული კონფლიქტის შედეგად ეს ციფრი 150 ათასამდე, ანუ 3.5-ჯერ (72%-თ) შემცირდა. დევნილებად და იძულებით გადაადგილებულ პირებად იქცნენ ქართველები, ბერძნები, ესტონელები, თვით აფხაზთა ნაწილიც კი, ვინც არ ისურვა იმპერიულ და სეპარატისტულ ავანტიურაში მონაწილეობა. განსაკუთრებით დაზარალდა ქართული მოსახლეობა, რომელიც ეთნიკური ნიშნით იდევნებოდა. ოფიციალური მონაცემებით, კონფლიქტის შედეგად ქართველთა რაოდენობა 245 ათასიდან 40-42 ათასამდე, ანუ თითქმის 6-ჯერ (84-85%-თ) შემცირდა. მიიღო რა მხედველობაში აღნიშნული გარემოება, ეუთოს სამიტმა არაერთხელ აღიარა და დაგმო აფხაზეთში ჩატარებული ეთნიკური წმენდა: 1994 წლის 6 დეკემბერს ბუდაპეშტში, 1996 წლის 3 დეკემბერს ლისაბონში და 1999 წლის 18 ნოემბერს სტამბულში. ქართული მოსახლეობის წინააღმდეგ ოკუპანტებისა და სეპარატისტების მიერ მიზანმიმართულად განხორციელებული ეთნიკური წმენდა, რომლის დაკანონებასაც კრემლი უკვე მეოთხედი საუკუნეა ცდილობს, ამკარად შეიცავს გენოციდის ნიშნებს.

2008 წლის აგვისტოში რუსეთი თავს დაესხა საქართველოს, რის შედეგადაც აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის (ქვეყნის ტერიტორიის 20 %-ის) ოკუპაცია მოახდინა. იმავე წლის 26 აგვისტოს მოსკოვმა აღნიშნული ტერიტორიების „დამოუკიდებლობა“ აღიარა, რითაც ის ამაოდ ცდილობს სამხედრო ოკუპაციის ამკარა ფაქტის შენიღბვას. ეს ფაქტი დადასტურებული საქართველოს კანონით „ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ“ (2008 წლის 23 ოქტომბერი) და აღიარებულია ევროკავშირის, ევროსაბჭოს, ეუთოს, ნატოს შესაბამისი გადაწყვეტილებებით. საერთაშორისო საზოგადოებრიობის პრინციპული პოზიციის მიუხედავად, რუსეთი აგრძელებს საქართველოს ტერიტორიების ოკუპაციას, ამასთანავე ნაბიჯ-ნაბიჯ ახორციელებს მცოცავი ანექსიის პოლიტიკასაც. ამაზე მიუთითებენ მოსკოვსა და სოხუმს შორის 2008 წლიდან, განსაკუთრებით კი ბოლო წლებში გაფორმებული სრულიად უკანონო დოკუმენტები. მათ შორისაა ე. წ. ხელშეკრულებები „მოკავშირეობისა და სტრატეგიული პარტნიორობის შესახებ“ (2014 წლის 24 ნოემბერი), „რუსეთის შეიარაღებული ძალებისა და აფხაზეთის რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების გაერთიანებული დაჯგუფების

შესახებ“ (2015 წლის 21 ნოემბერი) და ა. შ. ამ და სხვა „შეთანხმებების“ რეალიზაციის შედეგად აფხაზეთის ტერიტორია რუსეთმა საკუთარ სამხედრო ბაზად აქცია.

2009 წლის 1 თებერვლიდან აფხაზეთის ოკუპაციას უშუალოდ ახორციელებს რუსეთის ფედერაციის სამხრეთის სამხედრო ოლქის შემადგენლობაში შემავალი მე-7 სამხედრო ბაზა. მისი ინფრასტრუქტურა მუდმივად ფართოვდება და ვითარდება. აღნიშნული ბაზა წარმოადგენს „დამოუკიდებლობის“ მეოთხედი საუკუნის მანძილზე აფხაზეთში შექმნილ ერთადერთ „ღირსშესანიშნაობას“. იგი აერთიანებს სამხედრო, სამხედრო-ადმინისტრაციულ და სამედიცინო ობიექტებს, რომლებიც განლაგებულია აფხაზეთის მთელს ტერიტორიაზე - გაგრამი, გუდაუთამი, ბომბორამი, ახალ ათონში, ეშერამი, სოხუმში, კოდორის ხეობაში, ოჩამჩირეში, ნაგვალუმში, ოქუმში, გალში, საბერიოში ლეკუხონაში, ჭუბურხინჯში, თავილონში, ნაბაკევში, მეორე ოტობაიასა და ფიჩორში. მე-7 ბაზის პირადი შემადგენლობა კარგად გაწვრთნილ და თანამედროვე შეიარაღებით აღჭურვილ 4.5 ათასზე მეტ სამხედრო მოსამსახურეს აერთიანებს. იგი შეიარაღებულია T-90A-ს ტიპის ტანკებით, ჯავშანტანსპორტიორებით (BTP-80A), თვითმავალი ჰაუბიცებით 2C3 („აკაცია“), „გრადებით“ (BM-21), სანაპირო დაცვის სარაკეტო კატარღებით, საზენიტო-სარაკეტო კომპლექსებით (C-300) და ა. შ. ნატო თავის სამიტებზე და საპარლამენტო ასამბლეას სხდომებზე უკვე ღიად გამოხატავს შემფოთებას აფხაზეთის მზარდი მილიტარიზაციის გამო, რომელიც საფრთხეს უქმნის რეგიონალურ უსაფრთხოებას.

„აფხაზეთის რესპუბლიკისა“ და „სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკების“ შექმნის საფარქვეშ განხორციელებული საქართველოს ტერიტორიების ოკუპაცია საქართველოს სახელმწიფოებრიობის, აგრეთვე „ცივი ომის“ დამთავრების შემდეგ დამყარებული მსოფლიო უსაფრთხოების ახალი კონსტრუქციის წინააღმდეგ მიმართული გლობალური რევანშისტული აქტია. მოსკოვში მხოლოდ სახელმწიფოებრივი ფორმაცია და ლიდერები შეიცვალნენ, ხოლო რუსეთის ფედერაციის ნეოიმპერიული, „ველიკოდერჟავული“ მიზნები უცვლელი დარჩა - ადრეც და დღესაც იგი ვერ ჰგუობს სამხრეთ კავკასიაში ნამდვილად დემოკრატიული, დასავლური ფასეულობების მატარებელი დამოუკიდებელი საქართველოს არსებობას. კრემლი სხვა პოსტსაბჭოურ სახელმწიფოებშიც აფერხებს დამოუკიდებელი დემოკრატიული განვითარების პროცესს (ყირიმი, დონეცკისა და ლუგანსკის ოლქები/უკრაინა, დნესტრისპირეთი/მოლდოვა, მთიანი ყარაბაღი/აზერბაიჯანი). თვით რუსეთიც აშკარად ავტორიტარული მმართველობის სახელმწიფოდ ჩამოყალიბდა თუ დარჩა, რამაც საფუძველი დაუდო მის მიერ მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში „ჰიბრიდული ომების“ აქტივიზაციას, ან მათ საშინაო საქმეებში უხეშ ჩარევებს.

მეოთხედი საუკუნე ისტორიისათვის მცირე, მაგრამ ამასთანავე სავსებით საკმარისი დროა „დამოუკიდებელი სახელმწიფოს“ სამართლებრივი, პოლიტიკური და ეკონომიკური საფუძვლების ჩამოყალიბებისთვის, სამხრეთ კავკასიაში „ახალი შვეიცარიის“ შექმნის შესახებ გასული საუკუნის 90-იან წლებში აფხაზეთი სეპარატიზმის ლიდერების მიერ გაცხადებული უტოპიური იდეის ნაწილობრივ მაინც განხორციელებისთვის. სინამდვილეში კი, გარდა რუსული ოკუპაციისა და მცოცავი ანექსიისა, აფხაზეთში მივიღეთ სრული ეკონომიკური კოლაფსი - ომამდე ეკონომიკურად განვითარებული, თვითკმარი ავტონომიური რესპუბლიკა დღეს სულს ღაფავს და მხოლოდ რუსული „დახმარების“ წყალობით არსებობს. უკანასკნელი ხუთი წლის მონაცემების ანალიზი გვიჩვენებს, რომ რუსული ფინანსური „დახმარება“, რომელიც აფხაზეთის ბიუჯეტის ძირითად ნაწილს წარმოადგენს, სულ უფრო და უფრო მცირდება. ასე მაგალითად, 2014 წელს რუსული „დახმარების“ წილმა აფხაზეთის ბიუჯეტში 77.4 % (139.3 მლნ დოლარი) შეადგინა, 2015 წელს - 60% (44 მლნ დოლარი), 2016 წელს - 65.6% (80.2 მლნ დოლარი), 2017 წელს - 64.5 % (92 მლნ დოლარი), 2018 წელს (ბიუჯეტის გეგმა) - 57.7 % (64 მლნ დოლარი). ამრიგად, „დამოუკიდებელ“ აფხაზეთს საკუთარი ბიუჯეტიც კი არ გააჩნია. მის სამეურნეო პოტენციალთან ერთად მოშლილია ყოფილ სსრკ-ში და მის

ფარგლებს გარეთაც განთქმული საკურორტო - ტურისტული ინფრასტრუქტურა; მიწასთანაა გასწორებული ჯანდაცვის, განათლების, კულტურის, მეცნიერებისა და ჰუმანიტარული მიმართულებების სხვა დარგები.

ლიად ახორციელებს რა აფხაზეთის ანექსიის პოლიტიკას, კრემლი ცდილობს მოხსნას ერთ-ერთი სერიოზული დაბრკოლება, რომელიც ხელს უშლის მას მიზნის მიღწევაში. ეს არის გალის რაიონის ქართული მოსახლეობა, რომელის ინარჩუნებს საქართველოს მოქალაქეობას, რომელიც ისტორიულად წარმოადგენდა და დღესაც წარმოადგენს დამაკავშირებელ ხიდს ქართველებსა და აფხაზებს შორის. სწორედ ამ ხიდის მოშლის მიზნით, რუსეთის საოკუპაციო ხელისუფლება 1993 წლიდან დღემდე ახორციელებს ადამიანის ღირსების, მისი ელემენტარული უფლებების შემლახველ ექსპერიმენტებს გალის რაიონში დაბრუნებული და საკუთარ სახლებში მცხოვრები ათეულ ათასობით ადამიანის წინააღმდეგ. ადგილობრივი ქართული მოსახლეობა განიცდის ტოტალურ დისკრიმინაციას ეთნიკური ნიშნით, იგი მოკლებულია ყოველგვარ სამოქალაქო, პოლიტიკურ, სოციალურ და ეკონომიკურ უფლებებს. 2015 წლის დეკემბერში სოხუმში მიღებული ე. წ. კანონისა („აფხაზეთში მყოფი უცხო ქვეყნის მოქალაქეთა სამართლებრივი სტატუსის შესახებ“) და 2016 წლის დეკემბერში მასში შეტანილი შესწორებების მიხედვით, ადგილობრივი ძირძველი ქართული მოსახლეობა, წინაპრებისაგან მემკვიდრეობით მიღებულ კერძო სახლებში მცხოვრები ადამიანები საოკუპაციო რეჟიმის მიერ „უცხო ქვეყნის მოქალაქეებად“ არიან გამოცხადებული. მათ ენიჭებათ მხოლოდ ბინადრობის უფლება. შესაბამისად, ქართული მოსახლეობა მონაწილეობას ვერ იღებს ოკუპირებული ტერიტორიის საზოგადოებრივ ცხოვრებაში, დე-ფაქტო არჩევნებში, არ ინიშნებიან საჯარო ან სხვა სამსახურში (გარდა სკოლის მასწავლებლისა). „უცხო ქვეყნის“ მოქალაქეებს გალის რაიონიდან ჩამორთმეული აქვთ მამა-პაპათაგან მემკვიდრეობით მიღებული ქონების განკარგვის, საკუთრების შექმნისა და გასხვისების უფლება. ადამიანებს წართმეული აქვთ ქორწინებისა და აგრეთვე ახალშობილთა აფხაზეთის ტერიტორიაზე რეგისტრაციის უფლებაც. ასეთი რეგისტრაცია გალის მკვიდრთ მხოლოდ აფხაზეთის ფარგლებს მიღმა შეუძლიათ. მკვიდრი მოსახლეობის მიმართ არსად დედამიწაზე არ ხორციელდება მსგავსი დისკრიმინაცია, რომელიც აშკარად გენოციდის ნიშნებს შეიცავს. ოკუპანტები უხეშად არღვევენ განათლების მშობლიურ ენაზე მიღების ფუნდამენტურ უფლებას. 2016-2017 წლებში აფხაზეთის ადმინისტრაციულ საზღვარზე გამშვები პუნქტების დახურვით უკიდურესად შეიზღუდა გადაადგილების უფლებაც. ამრიგად, ოკუპანტები აგრძელებენ გალის რაიონის ქართული მოსახლეობის წინააღმდეგ მიმართული გენოციდის პოლიტიკას, ცდილობენ მის ასიმილაციას ან საკუთარი სახლებიდან განდევნას და ამ გზით აფხაზეთში „ქართული საკითხის“ ერთხელ და სამუდამოდ „მოგვარებას“.

აფხაზეთში მცხოვრები ქართველების ელემენტარული უფლებების დარღვევის თაობაზე საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრომ არაერთი ანგარიში მოამზადა და იგი საერთაშორისო ორგანიზაციებს წარუდგინა. საქართველოს ოკუპირებულ რეგიონებში დამიანის უფლებების კუთხით არსებული უმძიმესი ვითარება მუდმივად დგას გაეროს, მისი შესაბამისი ორგანოების, ეუთოს, ევროსაბჭოს, ევროკავშირის, ნატოს დღის წესრიგში. სამწუხაროდ, რუსეთი ჯერ-ჯერობით ანგარიშს არ უწევს ამ ავტორიტეტული საერთაშორისო ორგანიზაციების გადაწყვეტილებებსა და რეკომენდაციებს. ოკუპანტის ხელში აფხაზეთი იქცა ტერიტორიად, სადაც დღეს, ცივილიზებული XXI საუკუნის ათიანი წლების მიწურულს, არსებობს რასობრივი სეგრეგაციის პრინციპებზე დაფუძნებული, „კონსტიტუციურად გამყარებული“ კვაზი სახელმწიფო თავისი „კონსტიტუციით“, მართვის „კონსტიტუციური“ ორგანოებით. სინამდვილეში აფხაზეთი მხოლოდ ოკუპირებული ტერიტორიაა, რუსეთის ფედერაციის ერთიანი სამხედრო ინფრასტრუქტურის შემადგენელი ნაწილია ყოველგვარი დემოკრატიული, სამოქალაქო საზოგადოების და ეკონომიკური განვითარების პერსპექტივების გარეშე; ეს არის ტერიტორია, სადაც თვით აფხაზი ეთნოსის სრულად გადაშენების კრემლისეული გეგმა მთელი ძალითაა ამოქმედებული.

აფხაზური საზოგადოების ინტელექტუალური ნაწილი კარგად აცნობიერებს შექმნილ კატასტროფულ ვითარებას. იგი ხმამაღლა საუბრობს ღრმა ეკონომიკურ, პოლიტიკურ, მორალურ-ფსიქოლოგიურ კრიზისზე, სრულ უპერსპექტივობაზე, იმედგაცრუებაზე, აქედან გამომდინარე, გახშირებულ თვითმკვლელობებზე, „დამოუკიდებლობის“ დაკარგვის საფრთხეზე და ა. შ. აფხაზური სეპარატიზმის ერთ-ერთი მამამთავარის სერგეი შამბას განცხადებით (2018 წლის 19 ივლისი), მდგომარეობა თუ არ გამოსწორდა, აფხაზეთს ელოდება ისეთი ტრაგედია, როცა შეიძლება ყველაფერი დაიკარგოს, „მაშინ მოგვიწევს ფორთხვით ვევედროთ ან საქართველოს, ან რუსეთს, თავის შემადგენლობაში მიგვიღონ“ („а потом станем на колени и будем просить или Грузию, или Россию принять нас в состав, умялять будем«). აფხაზეთის მიმართ კრემლის პოლიტიკის, მათ შორის ფინანსური „დახმარების“ მიზანი სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ შიმშილით სიკვდილს გადარჩენისთვის აფხაზეთს დაუტოვოს ერთადერთი შანსი - „ვევედროს“ რუსეთს მის შემადგენლობაში „ნებაყოფლობით“ გაერთიანების შესახებ.

ოკუპირებული ტერიტორიების მიმართ საქართველოს პოლიტიკა სრულიად განსხვავებულია და მიზნად ისახავს გარედან თავსმოხვეული ომების შედეგად გამყოფი ხაზების მეორე მხარეს აღმოჩენილ ჩვენს მოქალაქეებთან შერიგებას. 2018 წლის 4 აპრილს საქართველოს მთავრობამ წარმოადგინა ახალი სამშვიდობო ინიციატივა „ნაბიჯი უკეთესი მომავლისკენ“. თბილისის მიზანი იყო და არის ოკუპირებულ ზონაში მცხოვრებ საკუთარ მოქალაქეებთან სავაჭრო-ეკონომიკური და საგანმანათლებლო კავშირების აღდგენა-წახალისება, მათთვის ჰუმანიტარული დახმარების აღმოჩენა. ეფექტურად მუშაობს ჯანდაცვის რეფერალური პროგრამა, რომელიც ოკუპირებული რეგიონების მოსახლეობისთვის მაღალტექნოლოგიური სამედიცინო მომსახურების სრული პაკეტის უფასოდ მიწოდებას ითვალისწინებს. აღნიშნული პროგრამით უკვე ისარგებლა ათასობით ადამიანი.

**აფხაზეთში მიმდინარე მოვლენების არსში წვდომა, ოკუპაციის შედეგების ობიექტური შეფასება მხოლოდ უტყუარი მტკიცებულებებისა და დოკუმენტების მწყობრი სისტემური წარმოდგენით არის შესაძლებელი. მათი სანდოობა კი დიდად არის დამოკიდებული აღნიშნული მტკიცებულებებისა და დოკუმენტების წარმოშობაზე. ამიტომაც წინამდებარე კრებულში მხოლოდ ცნობილი რუსი ბლოგერების - პუბლიცისტების, უცხოელი ფოტოგრაფების, რუსეთის ფედერაციის ოფიციალური პირების, აგრეთვე აფხაზეთის დე-ფაქტო მართვის ორგანოების წარმომადგენლების მიერ 2011 - 2018 წლებში საჯაროდ გამოქვეყნებული მასალების მცირე ნაწილს წარმოგიდგენთ ...**

# Abkhazia, Georgia, 25 years of Occupation

(from the editorial board)

25 years... A quarter of a century has already passed from one of the bloodiest tragedy occurred in the Autonomous Republic of Abkhazia and still continues to this day. In the corresponding publications it is called post-communist Vendee or the second Holocaust. The Russian Federation hidden behind the Abkhaz Separatist Forces nurtured by the Kremlin, misused the difficult political situation in Georgia, emerged as a result of the collapse of the Soviet Union and the state coup and provoked an armed conflict between Tbilisi and Sokhumi. The essence and disastrous consequences of the conflict were stipulated by the joint involvement of the Russian regular military units, separatists and squads of hired terrorist-bandits.

The brutal war provoked in 1992-1993 in Abkhazia against the Georgian State in its early independence stage, resulted in loss of lives of approximately 20 thousand people from the both sides, ethnic cleansing of the Georgian population, genocide and violated territorial integrity of Georgia. Majority of the perished people are peaceful Georgians including a lot of children, women, ill persons, elderly, doctors, teachers, scientists, artists, etc. The occupants purposefully killed all these people through torture, humiliation and other brutal methods of medieval centuries.

535,061 persons of different nationalities resided in Abkhazia as of 1<sup>st</sup> January, 1992. After the armed conflict this figure was reduced by 72% to 150,000. Georgians, Greeks, Estonians and even a few Abkhazians, refusing to support the imperial and separatist movement, became the IDPs and refugees. Georgians suffered the most due to the ethnic persecution.

According to the official data, after the conflict the number of Georgians decreased from 245,000 to 40-42,000, by 84-85%. Taking into consideration the above mentioned facts, the OSCE has repeatedly acknowledged and condemned ethnic cleansing in Abkhazia: on December 6, 1994 in Budapest, on December 3, 1996 in Lisbon and on November 18, 1999 in Istanbul. The purposeful ethnic cleansing of the Georgian population by the occupants and separatists that the Kremlin has been trying to legitimize during already a quarter of a century, obviously contains signs of the genocide.

In August 2008 Russia attacked Georgia and occupied Abkhazia and Ossetia regions (20% of the Georgian territories). The same year on August 26 Moscow recognized so-called independence of these "states", trying to hide the obvious fact of the military occupation. This fact however, has been evidenced by the Law of Georgia on Occupied Territories (October 23, 2008) and acknowledged by the respective decisions of EU, the Council of Europe, the OSCE and NATO. Despite the principal position of the international community, Russia is aggressively occupying the territories of Georgia, and step-by-step also bringing into action the creeping annexation policy. This reality has been proved through the signing of the completely illegal documents by Moscow and Sokhumi since 2008, especially during recent years. The so-called agreements on the "Alliance and Strategic Partnership" (November 24, 2014), "On the United Forces of the Russian Armed Forces and the Armed Forces of the Republic of Abkhazia" (21 November 2015) can be named as a few examples of those documents. As a result of these and other "agreements", the territory of Abkhazia has turned into a military base for Russia.

Since February 1, 2009, the occupation of Abkhazia is directly implemented by the 7th Military Base under the Southern Military District of the Russian Federation. Its infrastructure is constantly expanding and developing. This base is the only "sightseeing" in Abkhazia constructed during last quarter of a century of "independence". It combines military, administrative and medical facilities located in the entire territory of Abkhazia – in Gagra, Gudauta, Bombora, Akhali Afoni, Eshera, Sokhumi, Kodori Gorge, Ochamchire, Nagvalushi, Okumi, Gali, Saberio, Lekukhona, Chuburkhinji, Tagiloni, Nabakevi, Otobaia 2 and Pichori. The staff of the 7th base is well trained and unites more than 4.5 thousand military personnel equipped with the modern weapons. It is supplied with T-90A type tanks, armored vehicles (БТР-80А), self-propelled persons 2С3 ("Acacia"), "Crimes" (БМ-21), Coast Guard rocket boats, anti-aircraft missiles (С-300) etc.

NATO is openly expressing its concerns at the summits and parliamentary assemblies over the growing militarization of Abkhazia that poses a threat to regional security.

Occupation of the Georgian territories hidden under the creation of the "Republic of Abkhazia" and "South Ossetia" is a global revanchist act directed against the Georgian State and new structures of the World Security established after the end of the Cold War. In Moscow, only state formation and leaders have been changed, while the Neo Imperial, "Great Power" objectives of Russian Federation remained the same – previously as well as today it is not recognizing the existence of independent Georgian State with the Western values in the South Caucasus. The Kremlin in the other post-Soviet states also impedes the process of independent democratic development (Crimea, Donetsk and Lugansk districts / Ukraine, The Dnieper Region/ Moldova, Nagorno Karabakh / Azerbaijan). Russia itself has been established as a State of authoritarian rule, which has led to the assertion of "hybrid wars" in different countries of the world or increased interference in their internal affairs.

The quarter of a century is a short period for history, however, at the same time it is quite enough for the establishment of the legal, political and economic basis of the "Independent State" and creation at least partly of the "new Switzerland" in the South Caucasus – the utopian idea expressed by the Abkhazian separatist leaders in the 90-s of the previous century.

Actually, in addition to the Russian occupation and creeping annexation, the complete economic collapse has been emerged in Abkhazia. Before the war, Abkhazia was economically developed and self-sufficient Autonomous Republic while now is breathing its last and exists only because of the Russian "assistance".

Analysis of the data of the last five years shows that the Russian financial "investment", which constitutes the vast part of the budget of Abkhazia, is increasingly reducing. For example, the share of the Russian "investments" in 2014 amounted to 77.4% (139.3 million dollars), in 2015 - 60% (44 million dollars), in 2016 - 65.6% (80.2 million dollars), in 2017 - 64.5% (92 million dollars), in 2018 (budget plan) - 57.7% (64 million dollars). Thus, "independent" Abkhazia does not have even its own budget.

Abkhazia's famous resort and tourism infrastructure, being so popular in the former USSR and even outside it, along with its agricultural potential is fully destroyed; the spheres of healthcare, education, culture and science are also leveled to the ground.

Explicitly implementing the policy of annexation of Abkhazia, the Kremlin tries to remove one of the serious obstacles for achieving its goal. This obstacle is the Georgian population of the Gali district, which maintains Georgian citizenship and historically as well as nowadays represents a connecting bridge between the Georgians and Abkhazians. Namely for this reason, since 1993, Russian occupant authorities have been carrying out different experiments that violate not only the dignity of the tens of thousands of residents who have returned to the Gali district and their homes, but also their basic human rights.

Local Georgian population is experiencing total discrimination on ethnic grounds; it cannot enjoy any civil, political, social and economic rights. In December 2015, according to the adopted so called law "on the legal status of foreign citizens in Abkhazia" that was amended in December 2016, the local indigenous Georgian population - people, living in the properties inherited from their ancestors, have been declared as "foreign citizens" by the occupation regime. They are entitled to residence permit only and consequently, the Georgian population is not allowed to take part in the public processes on occupied territories, in the de-facto elections, they cannot work for public or other services and apply and/or occupy positions (except the position of a school teacher). The citizens of "foreign countries" from Gali district



have been deprived of the right of disposing their own properties inherited from their fathers or in general purchasing and selling the property.

People have been deprived of the right of registering their marriage and/or their newborn children on the territory of Abkhazia. The residents of Gali can enjoy these registration rights only beyond Abkhazia. Nowhere in the earth is being exercised such discrimination on indigenous people, which contains clear and obvious signs of the genocide. Occupants vastly violate the fundamental right of the residents of Gali district to receive education in their native language. By 2016-2017, the right of movement was exceptionally restricted by closing the checkpoints on the administrative boundary line with Abkhazia. Thus, the occupants continue to pursue the genocide policy against the Georgian population of the Gali district, try to assimilate or expel them from their homes and thus "resolve" the Georgian issue in Abkhazia once and for all.

The Ministry of Foreign Affairs of Georgia has prepared a number of reports on violation of the basic human rights of Georgians residing in Abkhazia and presented it to the international organizations. The deteriorated situation on the occupied territories in terms of human rights' violation is constantly on the agenda of UN, its respective bodies, the OSCE, the Council of Europe, the EU and NATO. Unfortunately, Russia has not yet taken into consideration the decisions and recommendations of these authoritative international organizations. In the hands of the occupant, Abkhazia has become a territory where today, at the end of the first decades of the civilized XXI century, exists a "constitutionally strengthened" quasi State based on the principles of racial segregation with its "constitution" and "constitutional" bodies.

In reality, Abkhazia is only an occupied territory and a consisting part of the united military infrastructure of the Russian Federation, without any elements of democracy, civil society and any perspectives of the economic development; This is an area where the Kremlin's plan to completely extinct the Abkhazian ethnos is in full force. The intellectual part of the Abkhazian society is well aware of the fatal situation they are in. It loudly and openly speaks about the deep economic, political, moral-psychological crisis, total lack of prospects, frustration, and the resulted frequent suicide cases and the danger of losing "independence" etc. According to one of the Abkhaz separatist leaders Sergei Shamba (19 July 2018), if the situation will not improve, Abkhazia will reach the point, "when we can lose everything, and will have no way out, but to fall on knees and beg Georgia or Russia to take us back and make us part of their States." The aim of the Kremlin's policy towards Abkhazia, including the financial "aid", is to leave the only chance for Abkhazia to beg for assistance from Russia and sob and weep for "voluntary" unification within its composition in order to survive.

As for Georgia, its policy towards the occupied territories is quite different and aims to reconcile with our citizens left on the other side of the dividing line as a result of forced conflict. On April 4, 2018, the Government of Georgia presented a new peace initiative "Step for a Better Future". The objective of Tbilisi was to restore and encourage the trade-economic and educational ties with its citizens living in the occupied zone and to provide them with the humanitarian assistance. The Health Care Referral Program, which provides comprehensive package of high-tech free of charge medical services for the population residing on the occupied regions made a great success. Thousands of people have already benefited from this program.

**Understanding of the essence of the facts occurring in Abkhazia and the objective assessment of the results of the occupation is possible only through the evidence based and accurate documentation. Their validity and credibility greatly depends on the origin of the evidence and documents. Therefore, in the present collection of works we provide a part of the published materials written by the well-known Russian blogger-publicists, Internationals photographers, Russian Federation officials, as well as representatives of the de facto governing bodies of Abkhazia from 2011-2018...**

# Абхазия, Грузия: 25 лет оккупации

(от редакционного совета)

25 лет... Исполнилось ровно четверть века одной из самых кровавых трагедий, разыгравшейся в Абхазской Автономной Республике и продолжающейся по настоящее время. В соответствующей литературе она названа посткоммунистической вандеей, а иногда и вторым Холокостом. Российская Федерация, прикрываясь абхазскими сепаратистскими силами, возвращенными в Кремле, используя сложное политическое положение, сложившееся в Грузии в результате распада Советского Союза и государственного переворота, спровоцировала вооруженный конфликт между Тбилиси и Сухуми. Его характер и катастрофические результаты были обусловлены совместным участием в конфликте российских регулярных военных подразделений, сепаратистских, наемных террористических и бандитских формирований.

Развязанная в 1992-1993 годах в Абхазии беспощадная война против грузинского государства, идущего по пути независимости, закончилась гибелью около 20 тысяч человек с обеих сторон, этнической чисткой, геноцидом грузинского населения и нарушением территориальной целостности Грузии. Большую часть погибших составило мирное грузинское население, среди которого очень много детей, женщин, больных, престарелых, врачей, педагогов, ученых, представителей искусства и т. д. Оккупанты целенаправленно уничтожали их, используя пытки и самые дикие средневековые методы, унижающие человеческое достоинство. На 1 января 1992 года в Абхазии проживал 535 061 человек разных национальностей, а в результате вооруженного конфликта эта цифра сократилась до 150 тысяч, или в 3.5 раза (на 72 %). Грузины, греки, эстонцы, также часть самих абхазов, которые не пожелали участвовать в имперской и сепаратистской авантюре, стали беженцами и вынужденно перемещенными лицами. Особенно пострадало грузинское население, преследуемое по этническому признаку. Согласно официальным данным, в результате конфликта численность грузин сократилась с 245 тысяч до 40-42 тысяч, то есть почти в 6 раз (на 84-85 %). Принимая во внимание данное обстоятельство, саммит ОБСЕ не раз признал и осудил проведенную в Абхазии этническую чистку: 6 декабря 1994 года в Будапеште, 3 декабря в Лиссабоне и 18 ноября 1999 года в Стамбуле. Целенаправленно осуществленная оккупантами и сепаратистами этническая чистка грузинского населения, которую Кремль уже четверть века старается узаконить, явно содержит признаки геноцида.

В августе 2008 года Россия совершила нападение на Грузию, в результате которого ею была оккупирована Абхазия и Цхинвальский регион (20 % территории страны). 26 августа того же года Москва признала «независимость» данных территорий, чем тщетно пыталась замаскировать явный факт военной оккупации. Этот факт подтвержден законом Грузии «Об оккупированных территориях» (23 октября 2008 года) и признан соответствующими решениями Евросоюза, Евросовета, ОБСЕ, НАТО. Несмотря на принципиальную позицию международной общественности, Россия продолжает оккупацию территорий Грузии, шаг за шагом проводя политику ползучей аннексии. На это указывают незаконные соглашения, оформленные между Москвой и Сухуми

с 2008 года, и особенно за последние годы. Среди них, так называемые договоры «О союзничестве и стратегическом партнерстве» (24 ноября 2014 года), «Об объединенной группировке войск (сил) Вооруженных Сил Российской Федерации и Вооруженных Сил Республики Абхазия» (21 ноября 2015 года) и т. д. В результате реализации этих и других «соглашений» Россия превратила территорию Абхазии в собственную военную базу.

С 1 февраля 2009 года оккупацию Абхазии непосредственно осуществляет 7-я военная база, входящая в состав Южного Военного Округа Российской Федерации. Ее инфраструктура постоянно расширяется и развивается. Данная база представляет собой единственную «достопримечательность», созданную в Абхазии за период четвертьвековой «независимости». Она включает военные, военно-административные и медицинские объекты, расположенные на всей территории Абхазии – в Гагра, Гудаута, Бомбора, Новом Афоне, Эшера, Сухуми, Кодорском ущелье, Очамчире, Нагвалу, Окуми, Гали, Саберио, Лекухона, Чубурхинджи, Тагилони, Набакеви, Меоре Отобаиа и Пичори. Личный состав 7-ой базы насчитывает более 4. 5 тысяч хорошо обученных военнослужащих, оснащенных современным вооружением. Она вооружена танками типа Т-90А, бронетранспортерами (БТР-80А), самоходной гаубицей 2С3 («Акация»), «Градами» (БМ-21), ракетными катерами береговой охраны, зенитно-ракетными комплексами (С-300) и т. д. НАТО на своих саммитах и заседаниях Парламентских Ассамблей уже открыто выражает тревогу из-за растущей милитаризации Абхазии, создающей угрозу региональной безопасности.

Оккупация территорий Грузии, осуществленная под прикрытием создания «Абхазской Республики» и «Южно-Осетинской Республики», является глобальным реваншистским актом против грузинского государства, а также против новой конструкции мировой безопасности, установленной после окончания «холодной войны». В Москве поменялись лишь государственная формация и лидеры, а неоимперские, «великодержавные» цели остались неизменными – и раньше, и сегодня Россия не может свыкнуться с существованием на Южном Кавказе действительно демократической, независимой Грузии – носительницей западных ценностей. И в других постсоветских государствах Кремль чинит препятствия процессу независимого демократического развития (Крым, Донецкий и Луганский области/Украина, Приднестровье/Молдова, Нагорный Карабах/Азербайджан). Россия также сформировалась или осталась государством с явно авторитарным правлением, что и стало основанием для активизации ею «гибридных войн» в разных странах мира или грубого вмешательства в их внутренние дела.

Для истории четверть века – короткий, но вместе с тем вполне достаточный срок для создания правовых, политических и экономических основ «независимого государства», хотя бы для частичного осуществления утопической идеи создания «новой Швейцарии» на Южном Кавказе, провозглашенной лидерами абхазского сепаратизма в 90-х годах прошлого века. На самом же деле, помимо русской оккупации и ползучей аннексии, мы получили в Абхазии полный экономический коллапс. Экономически развитая до войны, самодостаточная автономная республика сегодня находится на последнем издыхании и существует только благодаря русской «помощи». Анализ данных последних 5 лет показывает, что Российские финансовые «инвестиции», составляющие

основную часть бюджета Абхазии, все более и более сокращаются. Так, например, доля Российских «инвестиций» в бюджете Абхазии в 2014 году составила 77.4 % (139.3 млн долларов), в 2015 году – 60 % (44 млн долларов), в 2016 году – 65.6 % (80.2 млн долларов), в 2017 году – 64.5 % (92 млн долларов), в 2018 году (план бюджета) – 57.7 % (64 млн долларов). Таким образом, «независимая» Абхазия не имеет даже собственного бюджета. Вместе с хозяйственным потенциалом разрушена ее курортно-туристическая инфраструктура, известная в бывшем СССР и за его пределами; сравнивали с землей очаги здравоохранения, образования, культуры и науки.

Открыто проводя политику аннексии Абхазии, Кремль старается устранить одну из серьезных преград, препятствующих ему на пути достижения цели. Это грузинское население Гальского района, которое сохраняет гражданство Грузии и которое исторически являлось и сегодня является, соединительным мостом между грузинами и абхазами. Именно с целью разрушения этого моста, Российское оккупационное правительство с 1993 года по настоящее время над десятками тысяч человек, которые вернулись в Гальский район и живут в собственных домах, проводит эксперименты, унижающие достоинство человека и нарушающие его элементарные права.

